განათლების ზეგავლენა გენდერულ თანასწორობაზე

ელენე გრატიაშვილი
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

ქალთა განათლებასთან და მათ დასაქმებასთან დაკავშირებული მრავალი კვლევა ხაზს უსვამს ქალთა განათლებაში ინვესტირების მნიშვნელობას. გენდერული საკითხების მკვლევარების აზრით, ძალზედ საინტერესოა კვლევები იმის დასადგენად, თუ როგორ იცვლება გენდერული უთანასწორობა განათლების დონის შესაბამისად. სამ სხვადასხვა ქვეყანაში: ნიდერლანდებში, შვედეთსა და ა.შ.შ-ში ჩატარებული კვლევების თანახმად, გარკვეული კავშირი არსებობს ქალთა განათლებასა და გენდერულ თანასწორობას შორის. ავტორების ჰიპოთეზა მდგომარეობს შემდეგში - განათლება ხელს უწყობს ქალთა დასაქმების ზრდას, ხოლო განათლებულ ქალთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი ხელს უწყობს გენდერული თანასწორობის დაცვას ანაზღაურების თვალსაზრისით, სამსახურსა თუ ოჯახში.

ქალთა შრომით საქმიანობაში ჩართულობა მით უფრო უახლოვდება მამაკაცთა ჩართულობას, რაც უფრო მაღალია ქვეყანაში განათლების დონე. ამ და სხვა კვლევების ანალიზის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ - რაც უფრო მაღალია საზოგადოების განათლების დონე ქვეყანაში, მით უფრო დაცულია გენდერული თანასწორობა ყველა სფეროში. ამრიგად, გენდერული უთანასწორობის პრობლემის მოგვარების ყველაზე ეფექტური გზა განათლების ამაღლების ხელშეწყობაა.

ძირითადი ტექსტი

ახდენს თუ არა განათლების დონე გენდერულ თანასწორობაზე ზეგავლენას? ხშირია ასეთი შეკითხვა, ამ საკითხზე მრავალი კვლევაცაა ჩატარებული, მაგრამ აღნიშნული პრობლემა კვლავაც აქტუალურია და დისკუსიის საგანს წარმოადგენს.

განათლებასთან დაკავშირებული მრავალი კვლევა ხაზს უსვამს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ქალთა განათლების ამაღლებასა და ხელშეწყობას. განათლება მჭიდრო კავშირშია როგორც სიღარიბის დაძლევასთან, ასევე სამუშაო ძალაში ჩართულ ქალთა რაოდენობის ზრდასთან, მათ შემოსავლებთან და პროდუქტიულობასთან, რასაც მთლიანობაში დიდი სარგებელი მოაქვს როგორც საზოგადოებისათვის, ასევე ქვეყნისთვის.

ქალთა ნაკლები აქტიურობის მთავარი მიზეზი საზოგადოებაში დასაქმებულთა გენდერული ნიშნით დაყოფაა და ასევე ის ფაქტი, რომ ისინი არაანაზღაურებადი შრომის უმეტეს ნაწილს ასრულებენ. მორიგ მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ ნაკლები ფინანსური მოტივაცია, რაც გენდერული ნიშნით დაყოფასა და შესაბამის სახელფასო განსხვავებაში გამოიხატება. ქალები მამაკაცებზე მნიშვნელოვნად ნაკლებს გამოიმუშავებენ.

საქართველოში ქალთა ეკონომიკურ საქმიანობაში მონაწილეობაზე ყველაზე დადებითად განათლების ფაქტორი მოქმედებს. უმაღლესი განათლების მქონე ქალები, 20%-ით უფრო მაღალი ალბათობით მონაწილეობენ საზოგადოებრივ საქმიანობაში,ვიდრე ისინი, რომლებსაც მხოლოდ საშუალო განათლება აქვთ. ეს მიგნებები გვიჩვენებს, რომ უმაღლესი განათლება ქალებისთვის ეკონომიკური აქტიურობის გარკვეულ ბარიერებს ხსნის. [1]

ქალთა დასაქმება ა.შ.შ-ში განსაკუთრებით სწრაფად გაიზარდა მაღალი დონის განათლების მქონე ქალბატონებს შორის. დღესდღეობით როგორც ა.შ.შ -ში, ასევე ევროპაშიც, შედარებით უკეთესი განათლების მქონე ქალბატონები უფრო ხშირად არიან დასაქმებულნი.

გენდერული საკითხების მკვლევარების - მ.ევერტსონის, პ.ინგლენდის, ი.მუი-რესის, ჯ.ჰერმსენის, ჯ.დე ბრუინისა და დ. კოტერის მიერ ჩატარებულ იქნა ძალზედ საინტერესო კვლევები იმის დასადგენად, თუ როგორ იცვ-

[1] ქალთა დაბალი ეკონომიკური აქტიურობა და არაფორმალურ სექტორში ჩართულობა საქართველოში, მიზეზები და შედეგები, გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women) და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო (SDC). 2018.

ლება გენდერული უთანასწორობა განათლების დონის მიხედვით სამ სხვადასხვა ქვეყანაში: ნიდერლანდებში, შვედეთსა და ა.შ.-ში, განსხვავებული საზოგადოებრივი წყობის პირობებში: კონსერვატულ, სოციალ-დემოკრატიულ და ლიბერალური რეჟიმის დროს. აღნიშნულ ქვეყნებში განსხვავებული პოლიტიკა და სიტუაციაა ქალთა დასაქმების, ოჯახისა და სოციალური კეთილდღეობის კუთხით. ავტორების ჰიპოთეზა მდგომარეობს შემდეგში - განათლება ხელს უწყობს ქალთა დასაქმების ზრდას, ხოლო განათლებულ ქალთა დასაქმების მაღალი დონე ხელს უწყობს გენდერული თანასწორობის დაცვას ანაზღაურების თვალსაზრისით, სამსახურსა და ოჯახში.[1]

კვლევის ავტორებმა პროფესიული სეგრეგაცია შეისწავლეს ორი მიზეზის გამო. ჯერ ერთი, სამსახური არის შემოსავლების განმსაზღვრელი, და მეორე, ის შესაძლოა დანახული იქნას, როგორც გენდერული უთანასწორობის ფორმა, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ქალებსა და მამაკაცებს აქვთ თანაბარი სამუშაო საათები და ერთნაირი ანაზღაურება.

როგორ შეიძლება იცვლებოდეს ქალთა განათლებასთან ერთად მათი დასაქმების მაჩვენებელი? ეკონომიკური თეორია გვთავაზობს ორ პრინციპს: შესაძლებლობათა ღირებულება და შემოსავლის ეფექტი. უკეთესი განათლების მქონე ქალებს აქვთ შემოსავლის მიღების უფრო მეტი რესურსი. შესაბამისად, უმუშევრობის საფასური, ანუ ფულის ის რაოდენობა, რაზეც მათ უარი უნდა თქვან სახლში დარჩენის შემთხვევაში, უფრო მაღალია მათთვის. იმ ქალბატონებს, ვისაც მეტის გამომუშავება შეუძლიათ, უმუშევრად ყოფნის შემთხვევაში, მეტ თანხაზე უწევთ უარის თქმა. სწორედ ამ მიზეზის გამო, მკვლევარების აზრით, განათლებულებს შორის დასაქმების უფრო მაღალი მაჩვენებელია.

გენდერული საკითხების ექსპერტების - ფ.ნ კოჰენის და ს. მ. ბიანჩის მიხედვით, ა.შ.შ-ში ბოლო ათწლეულების განმავლობაში ქალთა განათლების ზეგავლენა მათ დასაქმებაზე დადებითი კუთხით გაიზარდა. შესაბამისად მათი მეუღლეების შემოსავლების უარყოფითი ეფექტები მათ დასაქმებასთან მიმართებაში შესუსტდა.[2] ამ საკითხთან დაკავშირებით, სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებული სიტუაციაა. მაგალითად, მკვლევარების - მალკოლმ ბრაინინისა და იურგენ შაფის მიხედვით, გერმანიაში, რაც უფრო მაღალია მამაკაცთა განათლების დონე, მით ნაკლები ალბათობაა, რომ მათი მეუღლეები იყვნენ დასაქმებული. ხოლო ბრიტანეთში, პირიქითაა, რაც უფრო განათლებულია ქალი, მით უფრო მეტია მისი დასაქმების ალბათობა.[3]

შვედეთში ქალთა დასაქმების მხარდაჭერა და ხელშეწყობა გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო. განხორციელდა მთელი რიგი საზოგადოებრივი ცვლილებები, რამაც ხელი შეუწყო ქალთა და განსაკუთრებით დედათა დასაქმების ზრდას.

შესაძლებლობათა ღირებულების არგუმენტის თანახმად, უკეთესი განათლების მქონე ქალბატონები და დედები უფრო ხშირად არიან დასაქმებულნი, მათ აქვთ უკეთესი გამოცდილებაც და შესაბამისად, იღებენ შედარებით მაღალ ანაზღაურებასაც. შედეგად, შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ ჰიპოთეზა, რომ დაბალ სოციალურ ფენაში, სადაც ქალებს ნაკლები განათლება აქვთ, ყველა სახის გენდერული უთანასწორობა შედარებით მაღალია.

ნაშრომში **"როდის უფრო ვლინდება გენდერული უთანასწორობა, განათლების დაბალი თუ მაღალი დონის შემთხვევაში"?** - ავტორების მიერ შესწავლილ იქნა პროფესიული გენდერული სეგრეგაციის ხარისხი სამ სხვადასხვა საგანმანათლებლო ჯგუფში, როგორც მამაკაცებისთვის, ასევე ქალებისათვის. საშუალოზე ნაკლები განათლების მქონე ადამიანები მიეკუთვნებიან განათლების ყველაზე დაბალ კატეგორიას. ისინი, ვისაც მხოლოდ საშუალო განათლება აქვთ, ან სწავლობდნენ კოლეჯში, მაგრამ არ აქვთ მიღებული ხარისხი, მიეკუთვნებიან

[1] MARIE EVERTSSON, PAULA ENGLAND, IRMA MOOI-RECI, JOAN HERMSEN, JEANNE DE BRUIJN, AND DAVID COTTER , Is Gender Inequality Greater at Lower or Higher Educational Levels? Common Patterns in the Netherlands, Sweden, and the United States ,2009, Published by Oxford University Press Pages , p211

[2] Cohen, Philip N., and Suzanne M. Bianchi. 1999. "Marriage, Children, and Women's Employment: What Do We Know?" Monthly Labor Review 122:22–31

[3] Brynin, Malcolm, and Ju¨ rgen Schupp. 2000. "Education, Employment, and Gender Inequality amongst Couples. A Comparative Analysis of Britain and Germany." European Sociological Review (MARIE EVERTSSON, PAULA ENGLAND, IRMA MOOI-RECI, JOAN HERMSEN, JEANNE DE BRUIJN, AND DAVID COTTER , Is Gender Inequality Greater at Lower or Higher Educational Levels? Common Patterns in the Netherlands, Sweden, and the United States ,2009, Published by Oxford University Press)

საშუალო კატეგორიას; ხოლო კოლეჯდამთავრებულნი, ან უნივერსიტეტში მიღებული ხარისხის მქონე პირები, მიეკუთვნებიან უმაღლეს კატეგორიას. ეს არის განათლების სტანდარტული საზომი ა.შ.შ.-ს -თვის და შეესაბამება როგორც ჰოლანდიურ, ასევე შვედეთის განათლების კლასიფიკაციის სტანდარტს. ამ სამი ქვეყნის მონაცემების ანალიზის თანახმად ამერიკელები, მამაკაცებიც და ქალებიც, ყველაზე განათლებულებად მიიჩნევიან, ჰოლანდიელები ყველაზე ნაკლები განათლებით გამოირჩევიან, ხოლო შვედებს აქვთ საშუალო განათლების დონე.[1]

გენდერული თანასწორობის შესახებ ჩატარებული კვლევების მიხედვით, დაბალ სოციალურ-ეკონომიკურ დონეზე მყოფი, ნაკლები განათლების მქონე ქალების სამუშაო ძალაში ჩართულობის მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია. ნიდერლანდების მაგალითზე, ყველაზე დაბალი განათლების კატეგორიის მქონე პირთა მხოლოდ 60%-ია დასაქმებული, მაშინ როცა კოლეჯდამთავრებულთათვის ეს მაჩვენებელი 82 %-ს უდრის. ა.შ.შ-ის მონაცემების შესაბამისად 50% და 74%, ხოლო შვედეთში- 78% და 94%. ნაკლები განათლების მქონე ქალბატონები ცხოვრობენ ისეთ ოჯახებში, რომელთაც უფრო მეტად სჭირდებათ საკუთარი შემოსავალი. შესაძლოა, ვივარაუდოთ, რომ ამ კატეგორიის ქალბატონები უფრო მეტად უნდა იყვნენ ჩართული შრომით საქმიანობაში, მაგრამ, მოლოდინის საპირისპიროდ, ნაკლები განათლების მქონე ქალბატონები, განათლებულ ქალბატონებთან შედარებით, უფრო იშვიათად არიან დასაქმებულნი. ქალთა შრომით საქმიანობაში ჩართულობა მით უფრო უახლოვდება მამაკაცთა ჩართულობას,რაც უფრო მაღალია განათლების დონე. ნიდერლანდებსა და შვედეთში, ა.შ.შ-სგან განსხვავებით, რაც უფლო მაღალია განათლების დონე დასაქმებულთა შორის, ქალთა სამუშაო საათების რაოდენობა კვირის განმავლობაში უახლოვდება მამაკაცთა სამუშაო საათების ოდენობას. ასევე საინტერესოა ის ფაქტი, რომ სამივე ქვეყანაში განათლების მაღალი დონის შემთხვევაში, ნაკლებია პროფესიული სეგრეგაცია.[2]

ნებისმიერ საგანმანათლებლო დონეზე ქალები მამაკაცებთან შედარებით მეტ საოჯახო სამუშაოს ასრულებენ. თუმცა, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ უკეთესი განათლების მქონე ქალბატონები ნაკლებ სამუშაოს ასრულებენ როგორც ქალებთან, ასევე მამაკაცებთან შედარებით.

რატომ იზრდება გენდერული თანასწორობა შრომის ბაზარზე ჩართულობისას განათლების ზრდასთან ერთად? ამ კითხვის პასუხი მდგომარეობს შემდეგში: ქალთა განათლებას აქვს ძლიერი და ასევე დადებითი ზეგავლენა მათ შრომით საქმიანობაში ჩართულობაზე. მაშინ რატომ ხდება, რომ ნაკლები განათლების მქონე ქალების დასაქმებაში ჩართულობა უფრო ნაკლებია, როდესაც, ძირითადად მათ დაბალი შემოსავლის მქონე მეუღლეები ან პარტნიორები ჰყავთ და შესაბამისად მეტი შემოსავალი სჭირდებათ? ამის მიზეზი უმეტეს შემთხვევებში არის ის, რომ უკეთესი განათლების მქონე ქალბატონებს შეუძლიათ უფრო მაღალანაზღაურებადი, მნიშვნელოვან და საინტერესო სამსახურებში დასაქმება.

ამრიგად, დღესდღეობით, ჯერ კიდევ არ არის სრულად გამოყენებული ქალთა პოტენციალი ყველა სფეროში და მაინც ხდება მისი გაუფასურება. კვლავაც არსებობს გარკვეული პრობლემები და ბარიერები გენდერული თანასწორობის მიღწევის გზაზე, რაც ხელს უშლის ქალთა სრულფასოვან მონაწილეობას პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სოციალურ ცხოვრებაში. თუმცა, არაერთი კვლევის მიხედვით, დასტურდება, რომ რაც უფრო მაღალია საზოგადოების განათლების დონე ქვეყანაში, მით უფრო დაბალია გენდერული უთანასწორობა.

[1] MARIE EVERTSSON, PAULA ENGLAND, IRMA MOOIRECI, JOAN HERMSEN, JEANNE DE BRUIJN, AND DAVID COTTER , Is Gender Inequality Greater at Lower or Higher Educational Levels? Common Patterns in the Netherlands, Sweden, and the United States ,2009, Published by Oxford University Press Pages , p217

[2] MARIE EVERTSSON, PAULA ENGLAND, IRMA MOOIRECI, JOAN HERMSEN, JEANNE DE BRUIJN, AND DAVID COTTER , Is Gender Inequality Greater at Lower or Higher Educational Levels? Common Patterns in the Netherlands, Sweden, and the United States ,2009, Published by Oxford University Press Pages , p234

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქალთა დაბალი ეკონომიკური აქტიურობა და არაფორმალურ სექტორში ჩართულობა საქართველოში, მიზეზები და შედეგები, გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women) და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო (SDC). 2018.
2. თანასწორობა ბიზნესში! გენდერული თანასწორობა საქართველოს ბიზნეს სექტორის წარმატების საფუძველი . 2019, UN Women Georgia. https://georgia.unwomen.org/ka/digital-library/publications/2019/11/toward-equality-in-business
3. https://www.un.org/en/chronicle/article/education-pathway-towards-gender-equality
4. RIE EVERTSSON, PAULA ENGLAND, IRMA MOOI-RECI, JOAN HERMSEN, JEANNE DE BRUIJN, AND DAVID COTTER , Is Gender Inequality Greater at Lower or Higher Educational Levels? Common Patterns in the Netherlands, Sweden, and the United States ,2009, Published by Oxford University Press.
5. Cohen, Philip N., and Suzanne M. Bianchi. 1999. "Marriage, Children, and Women's Employment: What Do We Know?" Monthly Labor Review 122:22–31
6. Brynin, Malcolm, and Ju¨ rgen Schupp. 2000. "Education, Employment, and Gender Inequality amongst Couples. A Comparative Analysis of Britain and Germany." European Sociological Review (MARIE EVERTSSON, PAULA ENGLAND, IRMA MOOI-RECI, JOAN HERMSEN, JEANNE DE BRUIJN, AND DAVID COTTER , Is Gender Inequality Greater at Lower or Higher Educational Levels? Common Patterns in the Netherlands, Sweden, and the United States ,2009, Published by Oxford University Press)

Education Impact on Gender Equality

Elene Gratiashvili, PhD student of GTU

Summary

Numerous studies on women's education and their employment emphasize the importance of investing in women's education. Gender issue researchers point out, that studies about finding out how gender inequality varies by educational level, are compelling. According to studies conducted in three different countries: the Netherlands, Sweden and the USA, there is a certain link between women's education and gender equality.

The authors' hypothesis is that education increases women's employment, and the higher employment levels of well-educated women lead to greater gender equalities in terms of income both, at work and in the household.

As educated population indicator increases in the country so does the similarity of employment statistics of women and men. From the analysis of these studies, we can conclude that, the higher the education level of society in the country is, the greater the level of gender equality is in all spheres.

To sum up, the most effective way for solving gender inequality problem is to support education policies.